ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N34

20.02.2024 წელი
11:30 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 20 თებერვალს, 11:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამი ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი **მაია გრძელიძე,** ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე *(საფუძველი წერილი №12-032404613-03, 15.02.2024),*

   მომხსენებელი - მაია გრძელიძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი.

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა” (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე *(საფუძველი წერილი №12-032404789-03, 16.02.2024),*

მომხსენებელი - **ირაკლი გვილავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა წარუდგინა.

მაია გრძელიძე- მოგესალმებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2024 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (200 034,9 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სანქციები - 10 000,0 ათასი ლარით და შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის - 16 000,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები - 15 000,0 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად, **ჯამურად ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 241 034,9 ათასი ლარით და შეადგენს 2 004 389,6 ათას ლარს.** პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის და რაიონის გამგეობის დამატებითი მოთხოვნებისა და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აქედან გამომდინარე, ასიგნებები გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე.

კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებით ბიუჯეტი იზრდება 26 000,0 ათასი ლარით, მათ შორის:

სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია **(კოდი 08 06 03) – 2 770,9** ათასი ლარით, აღნიშნული თანხა მოხმარდება ქალაქ თბილისის მასშტაბით ღია ტიპის სკეიტ-მოედნების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას და სამშენებლო სამუშაოებს. ასევე ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში ფეხბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოებს.

სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა **(კოდი 08 06 04) – 17 297,2** ათასი ლარით, აღნიშნული თანხა მოხმარდება შემდეგი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, კერძოდ: ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ. კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს, საჭირო ინვენტარით და ავეჯით აღჭურვას; ქ. თბილისში, დიდ დიღომში, სკოლა "ფესვების" მიმდებარედ მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სარემონტო სამუშაოებს და სხვადასხვა დანადგარების მონტაჟს; ქ. თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოების დასრულებას; ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებს; ქალაქ თბილისში, გუმათჰესის ქ. N1-ის მიმდებარედ სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას; სიახლეა, მიმდინარე წელს დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში (ს/კ 01.13.03.041.038; 01.13.03.041.037) მრავალფუნქციური სპორტული

კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები დაიწყება, პირველ ეტაპზე მომზადდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და შემდგომში განხორციელდება სამშენებლო სამუშაოები.

იზრდება ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (**კოდი 08 08 01**) – **1 761,3** ათასი ლარით, აღნიშნული თანხით გათვალისწინებულია სამგორის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სრული რეაბილიტაციის დასრულება და სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება.

ასევე, იზრდება თბილისის სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრების ხელშეწყობის ქვეპროგრამის (**კოდი 08 08 02**) ასიგნებები - **315,5** ათასი ლარით, მიმდინარე წელს დასრულდება ვებ-გვერდების Youthtbilisi.ge, eurodesk.ge და ევროპის ახალგაზრდული ბარათისთვის (youth card) შესაბამისი ვებ და მობილური აპლიკაციის შექმნის პროცესი.

იზრდება პროგრამა კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში (კოდი 08 11) 1 085,5 ათასი ლარით, რაც რაიონებში სხვადასხვა კულტურულ, სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებს მოხმარდება.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გურამ ოქროპირიძე– როგორც მოგეხსენებათ, ევროდესკის და ახალგაზრდული ბარათის მიმართულებით, აქტიურად მუშაობს ცენტრი, გაზაფხულზე გაიმართება სრული პრეზენტაცია, საკმაოდ მნიშვნელოვანი სიახლე იქნება განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, პროგრამა არ ეხება მხოლოდ სტუდენტებს, მომხმარებლის ასაკი 18 წლიდან 29 წლის ჩათვლით განისაზღვრება, ახალგაზრდული ბარათი საქართველოში და ევროკავშირის ქვეყნებში იქნება ინტეგრირებული. ახალგაზრდებს წვდომა ექნებათ საბაზრო ღირებულებაზე ბევრად ნაკლებ ფასად, სხვადასხვა სერვისებზე და პროდუქტებზე, ვიდრე დღეს სარგებლობენ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი,

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი სტუდენტების დაფინანსების წესში შესატანი ცვლილებების შესახებ, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამაში საჭირო გახდა და პრაქტიკამ აჩვენა რამდენიმე ცვლილების შეტანა, კერძოდ: მრავალშვილიანი ოჯახის წევრის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა გაცემული უნდა იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების წარდგენის კალენდარულ წელს, რაც გამორიცხავს, მრავალშვილიანი ოჯახის წევრის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის მხრიდან დაფინანსების მიღებას. ასევე, ვინაიდან, 18 წლის ასაკის მიღწევამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უდგინდება კატეგორია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, აღნიშნული სტატუსის დამატება შესაძლებელს გახდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე სტუდენტების დაფინანსებას. ხოლო ცნობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, დაემატება სტუდენტის სემესტრული გადასახადის და სასწავლო გრანტის ოდენობის თაობაზე ინფორმაციის მითითების ვალდებულება.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი,

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე, ნინო კვიტაიშვილი, - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა -(0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა" (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია პროექტ ,,სასკოლო ლიგა"-ის მიმდინარეობის თაობაზე.

გურამ ოქროპირიძე- გრძელდება კომისიის მიერ ინიცირებული და მხარდაჭერილი პროექტი ,,სასკოლო ლიგა" რომელიც, 2019 წელს დაფუძნდა და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს, 2023-2024 სასწავლო წელს სასკოლო ლიგა თბილისსა და რეგიონებში სპორტის 15 სახეობაში გაიმართება და მასში 500-მდე სკოლის 12 000-ზე მეტი მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას. პროექტს კვლავ ესაჭიროება ჩვენი მხარდაჭერა, როგორც საკრებულოსგან, ასევე მერიისგან და სპორტული ფედერაციებისგან, რომ მაღალი სტანდარტებით მოხდეს ჩემპიონატების ჩატარება. ცნობილია რომ ტურნირი თბილისის გარდა ქვემო ქართლის, კახეთის, აჭარის და იმერეთის რეგიონებსაც მოიცავს. შესაბამისად კომისიის სამდივნოს ჩართულობა აუცილებელია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის სამდივნოს სთხოვა პროექტს, დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერისთვის ადგილზე გაუწიონ საჭირო ხელშეწყობა, გაშუქების და სხვა ტექნიკური მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე